

სს „ჰარვესტ ჯორჯია“ და შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჰარვესტ ჯორჯიას“ აქციონერსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ჰარვესტ ჯორჯიას“ და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუას“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 24 ივნისი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	29,343	30,692
გუდვილი	6	3,136	3,136
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,479	33,828
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	6,189	6,360
სავაჭრო მოთხოვნები	8	2,378	4,458
გადახდილი ავანსი		86	66
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		337	342
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	210	239
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,200	11,465
სულ აქტივები		41,679	45,293
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	–	–
სხვა რეზერვები	10	(7,022)	(7,022)
დაგროვილი ზარალი		(26,781)	(18,805)
სულ საკუთარი კაპიტალი		(33,803)	(25,827)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	11	9,815	49,772
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,815	49,772
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	14,233	12,897
სახელშეკრულებო ვალდებულებები	15	332	2
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		666	727
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	11	50,436	7,722
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		65,667	21,348
სულ ვალდებულებები		75,482	71,120
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		41,679	45,293

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 ივნისს.

თეიმურაზ ჯანყარაშვილი



უფლებამოსილი წარმომადგენელი

ლუკა ფირცხალავა

უფლებამოსილი წარმომადგენელი

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები და შემოსულობა	15	12,698	15,737
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16	(11,445)	(13,140)
საერთო მოგება		1,253	2,597
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,300)	(1,288)
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	17	(215)	(248)
სხვა საოპერაციო ხარჯი	19	(505)	(930)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (დანარიცხი) გაუქმება	8	(25)	39
საოპერაციო (ზარალი) მოგება		(792)	170
ფინანსური დანახარჯები	12	(5,010)	(3,678)
საკუროს სხვაობით განპირობებული (ზარალი) შემოსულობა, წმინდა		(1,880)	663
სეტყვით მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი	20	(294)	(734)
ზარალი დაბეგვრამდე		(7,976)	(3,579)
მოგების გადასახადი		–	–
წლის ზარალი		(7,976)	(3,579)
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი		(7,976)	(3,579)

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი ზარალი	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(7,022)	(15,226)	(22,248)
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი	–	–	(3,579)	(3,579)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(7,022)	(18,805)	(25,827)
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი	–	–	(7,976)	(7,976)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(7,022)	(26,781)	(33,803)

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი დაბეგვრამდე		(7,976)	(3,579)
არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5	1,880	1,788
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დანარიცხი (გაუქმება)	8	25	(39)
მარაგების ჩამოწერა	7	177	195
სამართლიანი ღირებულების მოძრაობა ბიოპროდუქტში	15	1,417	1,065
ფინანსური დანახარჯი	12	5,010	3,678
სეტყვით მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი	20	294	734
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობებზე მიკუთვნებადი საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი (შემოსულობა)	12	1,870	(579)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,697	3,263
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება			
ცვლილებები მარაგებში		(1,717)	(978)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		2,055	(1,941)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(20)	92
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		1,336	3,032
ცვლილებები სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(61)	(142)
ცვლილებები საგადასახადო ნაშთებში, მოგების გადასახადის გარდა, წმინდა		5	56
ცვლილებები სახელშეკრულებო ვალდებულებებში		330	(298)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტის და მოგების გადასახადის გადახდამდე		4,625	3,084
გადახდილი პროცენტი	12	(1,499)	(1,735)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,126	1,349
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(532)	(1,338)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		–	12
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(532)	(1,326)
საფინანსო საქმიანობა			
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	(2,624)	–
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,624)	–
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა		(30)	23
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან		1	(24)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9	239	240
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	210	239

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

სს „ჰარვესტ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო კოდით: 405258313, არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 13 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2018 წელს სს „ჰარვესტ ჯორჯიამ“ შეიძინა შპს „ქინძმარაულის მარანის“ 100%-იანი წილი. შპს „ქინძმარაულის მარანი“ ქართული ღვინის და ალკოჰოლური სასმელების მაღალი ხარისხის მწარმოებელია, რომელიც 350 ჰექტარ მიწას ფლობს კახეთის რეგიონში.

ჯგუფის იურიდიული მისამართია ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №3-5, თბილისი, საქართველო, ხოლო მისი საქმიანობის ძირითადი ადგილმდებარეობაა კახეთი, ყვარელის რაიონი, სოფელი გაგავი. ძირითადი საქმიანობაა ყურძნის გაშენება და მოყვანა, ღვინის და საკუთარი წარმოების სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს - შპს „ქინძმარაულის მარანის“ ფინანსურ ანგარიშგებებს (ერთად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“).

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უშუალო მშობელი საწარმო იყო სს „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგი“ (შემდგომში „უშუალო მშობელი საწარმო“), რომელიც ჯგუფს მართვის ხელშეკრულების საფუძველზე აკონტროლებს.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მშობელი საწარმოა საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“ (შემდგომში „GCAP“ ან „საბოლოო მშობელი საწარმო“), რომელიც გაერთიანებულ სამეფოს რეზიდენტი კომპანიაა და ლონდონის საფონდო ბირჟაზეა კოტირებული.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია ქართველი ფიზიკური პირი.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ბიოპროდუქტებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასდა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 56,467 ლარით აღემატებოდა. ამავდროულად, ჯგუფმა აღრიცხა 7,976 ლარის ოდენობით წლის წმინდა ზარალი, ხოლო ჯგუფის წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების შემოსვლამ პროცენტის დარიცხვამდე 4,625 ლარი შეადგინა.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ის შეძლებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ხელმძღვანელობამ ჩაატარა ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლების ლიკვიდობის ანალიზი რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარე ეფექტების გათვალისწინებით, რამაც ნეგატიურად იმოქმედა ჯგუფზე 2024 წლის ბოლოსთვის. ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

- ▶ **მოცულობითი გაყიდვები** - ქართული ღვინის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 6%-ით გაიზარდა და 2024 წელს 126 მილიონი ბოთლი შეადგინა (geostat.ge-ის მიხედვით). შესაბამისად ხელმძღვანელობა ვერ ხედავს მოცულობასთან დაკავშირებულ რისკს საექსპორტო ბაზრებზე.
- ▶ **ზეწოლა მომგებიანობაზე** - ადგილობრივი ვალუტის (ლარი) გამყარება - უკრაინაში მიმდინარე ომის გამო საქართველომ დიდი რაოდენობით მიგრანტი მიიღო, რომლებმაც ქართულ ლარზე ძლიერი მოთხოვნა შექმნეს. ღვინის ბიზნესის ექსპორტზე გაყიდვები მეტწილად აშშ დოლარსა და ევროშია გამოხატული.
- ▶ **სესხის გახანგრძლივება** - ჯგუფი განაგრძობს სუბსიდირებული (ყურძნის) სესხების დაფარვას, და ამავდროულად აწარმოებს მოლაპარაკებებს არასუბსიდირებული სესხების გახანგრძლივებაზე.

ხელმძღვანელობამ წერილი მიიღო მშობელი საწარმოებისგან (სს „საქართველოს კაპიტალი“ და სს „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგი“), რომელშიც მითითებული იყო, რომ მშობელი საწარმოები გეგმავენ ჯგუფი უზრუნველყონ ადეკვატური სახსრებით ნორმალური ფუნქციონირების გასაგრძელებლად, წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან 12 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით მშობელი საწარმოები ფლობენ სათანადო ოდენობით სახსრებს ჯგუფისთვის საჭიროების შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად.

ღვინის ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული საყრდენია ყურადღების ზრდა ამონაგების ხარისხის გაუმჯობესებასა და გაყიდვების მოცულობის ზრდაზე.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამ ინიციატივების კომბინაცია ჯგუფს უზრუნველყოფს საჭირო ლიკვიდობით, რათა განაგრძოს ფუნქციონირება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება მიმდინარე მოლოდინებს და პროგნოზებს. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ამონაგების აღიარება

მზა პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, ე.ი. მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელზე გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდების მომენტში. საექსპორტო გაყიდვებისთვის, ჩვეულებრივ საქონელზე კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა მაშინ, როდესაც კურიერი განახორციელებს მის მიწოდებას დათქმულ ადგილმდებარეობაზე, საწარმოო ობიექტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

მზა პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

ამონაგები აღიარდება მზა პროდუქციის გაყიდვასთან კავშირში ისეთი ოდენობით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის მიღებასაც ჯგუფი გეგმავს ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი, რომელიც ასახავს მომხმარებლისთვის გადასახდელი საზღაურის (ფულადი თანხები, რომლებსაც ჯგუფი მომხმარებელს გადაუხდის, ან მოელის მათ გადახდას) კორექტირებებს და ნებისმიერი მოცულობითი ფასდაკლებისთვის.

კონკრეტული ხელშეკრულებები მომხმარებელს აძლევს უფლებას დააბრუნოს საქონელი კონკრეტულად განსაზღვრულ პერიოდში. იმ საქონლის შესაფასებლად, რომელიც დაბრუნდება, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ განსაზღვრავს იმ ცვლადი საზღაურის თანხას, რომელზეც უფლება ექნება ჯგუფს.

ამონაგები ვენახის გაშენების ტექნოლოგიებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, ჯგუფის მიერ თავისი დაკავშირებული მხარეებისთვის მომსახურების გაწევისას. საზღაური ჩვეულებრივ შესაბამის ხარჯზე 10%-იანი ფასნამატით.

სახელშეკრულებო ნაშთი

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისგან უპირობოდ მიიღება საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე). ჯგუფის მოთხოვნების უმრავლესობა მოკლევადიანია და არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს. ჯგუფი მოკლევადიან სავაჭრო მოთხოვნებს ნომინალური ღირებულებით აღიარებს და არ ითვალისწინებს დისკონტირების ეფექტებს.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი) ჯგუფის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებები ამონაგებად აღიარდება, როდესაც ჯგუფი მათ შეასრულებს ხელშეკრულების საფუძველზე (ე.ი. მომხმარებელს გადასცემს კონტროლს შესაბამისი საქონელზე ან მომსახურებებზე). ჯგუფის სახელშეკრულებო ვალდებულებები არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს. ჯგუფი პრაქტიკულ მიდგომას იყენებს და სახელშეკრულებო ვალდებულებებისთვის არ აღიარებს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც ჯგუფი გეგმავს განახორციელოს საქონლის მიწოდება და დააკმაყოფილოს შესასრულებელი ვალდებულება წარმოშობიდან 12 თვის განმავლობაში.

ბ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. რემონტის და ტექნომსახურების ყველა სხვა დანახარჯი გაწვევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში, ადმინისტრაციული ხარჯებით.

ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯი გადაიტანება მოწეულ ვაზზე და მათ სასარგებლო ეკონომიკურ მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

ვაზი	45-50 წელი
შენობა-ნაგებობები	7-50 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-20 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
სხვა	3-8 წელი

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივის ექსპლუატაციაში შეყვანის მომდევნო თვიდან. მიწას და ვენახს ცვეთა არ ერიცხება.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთის დარიცხვა

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული მარაგები გაიყიდა) ან, როგორც მარაგები (თუ წარმოებული მარაგები არ გაიყიდა). ცვეთის ხარჯი ძირითადი საშუალებების სხვა მუხლებზე აღიარდება გასაყიდ დანახარჯებსა და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში, აქტივების ხასიათიდან და მიზნიდან გამომდინარე.

გ) ბიოლოგიური აქტივები და პროდუქტები

ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, სექტემბრიდან ოქტომბრამდე ხდება. მოსავლის აღებამდე ხდება ყურძნის მოყვანის დანახარჯების მომდევნო პერიოდზე გადატანა, მარაგების ნაწილში. მოსავლის აღებისთანავე ყურძენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ხდება და შესაბამისად გასაყიდი ფასით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ამონაგებში აღიარებული სამართლიანი ღირებულების შემოსულობით ან ზარალით.

ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების მომენტში სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასების შედეგი წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ გადაიტანება მარაგების ნაწილში.

დ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული დანახარჯები შემდეგი სახით აღირიცხება:

- ▶ ნედლეული: შესყიდვის ფასი საშუალო შეწონილ საფუძველზე;
- ▶ მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: პირდაპირი მასალების და შრომის თვითღირებულება და საწარმოო ზედნადები ხარჯების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით.

მარაგები ირიცხება გაყიდული საქონლის თვითღირებულებაზე საშუალო შეწონილ საფუძველზე.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ე) უცხოური ვალუტა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ასევე კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს სამუშაო ვალუტაა.

ვ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ მფლობელებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება ბრუნვიდან გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული ბრუნვიდან გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ბრუნვიდან გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს ბრუნვიდან გადასახადის თანხას.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სავაჭრო მოთხოვნების და სავაჭრო ვალდებულებების ნაწილის მუხლში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (მე-3 შენიშვნა);
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა).

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ორ ეტაპად აღიარდება. საკრედიტო რისკის ზომისთვის, რომლისთვისაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღირიცხება საკრედიტო ზარალზე, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევებიდან და რომელიც მოსალოდნელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). იმ საკრედიტო რისკის ზომისთვის, რომლისთვისაც ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას საწყისი აღიარებიდან, ზარალის რეზერვი საჭიროა საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია რისკის ზომის დარჩენილ ვადაზე, მიუხედავად დეფოლტის ვადისა (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი საპროგნოზო ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო დაწესებულებებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ ჯგუფი სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და პროცენტულ სესხებს და ნასესხებ სახსრებს, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. არსებული ფინანსური ვალდებულების იმავე სესხის გამცემის მიმართ არსებითად განსხვავებული პირობების მქონე (როგორც არის მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, თავდაპირველი ვალდებულების საბალანსო ღირებულება 10%-ზე მეტით განსხვავდება) სხვა ვალდებულებით ჩანაცვლების შემთხვევაში, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად არის მოდიფიცირებული (მაგალითად, ვალუტის გამოხატვის ცვლილება, საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის საფუძვლის ცვლილება ფიქსირებულიდან მცოცავზე, ან პირიქით, ან საკუთარი კაპიტალის კონვერსია), ამგვარი ცვლილება ან მოდიფიცირება მიიჩნევა თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების რეგისტრაციად. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამგვარი გარიგებების გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი შეფასების მოდელი. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით, იმ აქტივების კოტირებული ფასებით, რომლებიც საჯაროდ იყიდება ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომელსაც ჯგუფი ამზადებს დეტალური ბიუჯეტების და საპროგნოზო კალკულაციების გაუფასურების გაანგარიშებაზე, რომლებიც, თავის მხრივ, ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის. ეს საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებები ჩვეულებრივ ექვსწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდებისთვის, გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ექვსი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განისაზღვრება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობდეს ან შემცირებულია. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. გაუქმების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ამგვარი გაუქმება აღიარდება კონსოლიდირებულ სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ანაზღაურებს, სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით.

კ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე;
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის (თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული). ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იყენებს გამყიდველი-მოიჯარე ყიდვა-გაყიდვის და უკუიჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოს ის, რომ მყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის ისეთი თანხა, რომელიც მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას უკავშირდება. ცვლილებებს გავლენა არ აქვთ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები - ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. ცვლილებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

ამ ცვლილებებმა გამოიწვია მე-12 შენიშვნაში დამატებითი განმარტებითი შენიშვნების გაკეთება, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები

ბასს (IAS) 7-ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) ცვლილებები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. ცვლილებები განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში. ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე და სხვა განმარტებითი შენიშვნების დამატება არ მომხდარა.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე და განაგრძობს გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

„ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში „*უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებზე.

ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია, თუმცა საჭირო იქნება ამ ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესაძარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული (გაგრძელება)

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზრებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებები.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვარიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის ჯგუფი მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

(ათას ლარში)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ სტანდარტებს ექნებათ გავლენა ჯგუფზე:

ფასს (IFRS) 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება:

2024 წლის მაისის თვეში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც უფლებამოსილ საწარმოს საშუალებას აძლევს აირჩიოს გამოიყენოს ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდული მოთხოვნები და ამავდროულად გამოიყენოს აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები სხვა ფასს (IFRS) სააღრიცხვო სტანდარტებში. უფლებამოსილებისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდე მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

ფასს (IFRS) 19 ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

ამ მომენტისთვის ჯგუფი აფასებს ექნება თუ არა მას უფლება მიიღოს და როდის მიიღოს ფასს (IFRS) 19.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი შესწორებები დაშვებებში დადგომისთანავე აისახება.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება (გაგრძელება)

განსჯა

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ შემდეგი სახის განსჯა გამოიყენა, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენ აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

მაკონტროლებელი მშობელი საწარმოს განსაზღვრა

ხელმძღვანელობა განსჯას მიმართავს იმის განსაზღვრისას სს „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგს“ შესწევს თუ არა უნარი წარმართოს ჯგუფის შესაბამისი საქმიანობები ცვლადი საზღაურის სანაცვლოდ, რომელიც უკავშირდება მათ წმინდა მოგებას სესხის და მართვის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობისას (1-ლი შენიშვნა). ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგს“ აქვს შესაძლებლობა მართოს ცვლადი უკუგებები და შესწევს უნარი ისარგებლოს უფლებამოსილებით იმოქმედოს ჯგუფის უკუგებაზე და შესაბამისად ის არის ჯგუფის მშობელი საწარმო.

შეფასებები და დაშვებები

მიღებული პროდუქციის სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების მომენტში სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ჯგუფმა საქართველოს ღვინის სააგენტოსგან მიიღო საბაზრო ინფორმაცია და ყურძნის ფასები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზარალი აღებული და მარაგებში გადატანილი ყურძნის სამართლიან ღირებულებაზე 1,417 ლარს (2023 წ.: სამართლიანი ღირებულების ზარალი 1,065 ლარი) შეადგენდა (მე-15 შენიშვნა).

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გუდვილის, არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის და გრძელვადიანი აქტივების ინვესტიციების გაუფასურების ტესტირებას, რომლისთვისაც გამოვლენილია გაუფასურების ინდიკატორები. გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, რომელიც განისაზღვრება უდიდესი თანხით მის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მომსახურების საფუძველზე ან ემპირიული საბაზრო ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასვლის დამატებითი დანახარჯები. გამოყენების ღირებულების დაანგარიშდება ეფუძნება დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) მოდელს. ფულადი ნაკადები მიიღება მომდევნო ექვსი წლისთვის ბიუჯეტიდან და არ მოიცავს რესტრუქტურისაციას, რომელთა ვალდებულებაც ჯგუფს ჯერ არ აუღია ან მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომლებიც გააუმჯობესებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების შემსრულებლის მაჩვენებლებს. ანაზღაურებადი ღირებულება მგრძნობიარეა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის, ასევე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოსვლის და ექსტრაპოლაციის მიხედვით გამოყენებული განაკვეთის ზრდის მიმართ.

ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის ბიზნეს-ფაქტორები და ფინანსური საქმიანობის შედეგები 2024 და 2023 წლების განმავლობაში.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ გაუფასურების ინდიკატორები არსებობდა ჯგუფის გრძელვადიან აქტივებთან მიმართებით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ღვინის ბიზნესის გუდვილთან, ძირითად საშუალებებთან და სხვა გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებით ჩატარებული გაუფასურების ტესტის საფუძველზე, ჯგუფმა დაასკვნა, რომ ღვინის ბიზნესის ანაზღაურებადი ღირებულება ჯგუფის საბალანსო ღირებულებას აჭარბებს. შესაბამისად, 2024 წელს გაუფასურება არ აღიარებულა. იხ. მე-6 შენიშვნა.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი მის დისტრიბუციის ფუნქციას გადასცემს შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა“, რომელიც მისი დაკავშირებული მხარეა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები 78% დაკავშირებული მხარისგან არის (2023 წ.: 90%). შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი თავის სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მეტწილად ინდივიდუალურად, და არა კოლექტიურად აფასებს.

ჯგუფი მოთხოვნების ყოველ ნაშთს მომხმარებელთან განვლილ გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით აფასებს, რომელიც კორექტირდება დებიტორების და ეკონომიკური გარემოს პროგრესული ფაქტორების გასათვალისწინებლად.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს მთლიან წმინდა დავალიანებას კონტრაქტის მიმართ. ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აღიარებს იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნები აღემატება შესაბამისი მხარის ვალდებულებას, რადგან ის მოელის გაქვითვას საქმიანობის ნორმალურ პირობებში ვადაგადაცილებულ თანხებთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმის შესაფასებლად, გადაფარვის მოლოდინი შეესაბამება თუ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების ამოსავალ მონაცემებს დაკავშირებული მხარის მიმართ მოთხოვნებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი მსჯელობის გამოყენება იყო საჭირო. შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ აღიარდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ მოთხოვნებისთვის 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საკრედიტო დაწესებულებებში ფლობილი თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები), ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა აღიარა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის დანარიცხი 25 ლარის (2023 წ.: 39 ლარის გაუქმება) ოდენობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებით (8 შენიშვნა).

4. კორექტირებული შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

შესრულების მაჩვენებლების სახით ჯგუფმა კორექტირებული EBITDA აჩვენა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესაბამისია. EBITDA გამოითვლება მოგების კორექტირების გზით, რომელსაც აკლდება გადასახადი, წმინდა ფინანსური დანახარჯები, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/ზარალი, გაუფასურების ხარჯი და ხელმძღვანელობის რესტრუქტურის დანახარჯები. EBITDA არ არის ფასს (IFRS) სტანდარტებით შეფასებული შესრულების საშუალება. EBITDA-ს ჯგუფისეული შეფასება შესაძლოა არ იყოს შედარებადი საქმიანობის შედეგების ანალოგიური სახელწოდების საზომებთან და სხვა საწარმოების მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან.

კორექტირებული EBITDA-ს შეჯერება წლის ზარალთან ასე გამოიყურება:

	შენიშვნა	2024	2023
წლის ზარალი		(7,976)	(3,579)
მოგების გადასახადი		–	–
ზარალი დაბეგვრამდე		(7,976)	(3,579)
კორექტირებები:			
ცვეთა	5	1,880	1,788
ფინანსური დანახარჯები	12	5,010	3,678
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი (შემოსულობა), წმინდა		1,880	(663)
სეტყვით მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი	20	294	734
კორექტირებული EBITDA		1,088	1,958

(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	სხვა	კენახის გაშენება	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება								
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,387	4,215	11,215	699	139	12,673	3,430	37,758
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	1,362	1,362
გასვლა	-	-	(47)	-	-	-	-	(47)
გადატანა	-	39	214	-	31	2,309	(2,593)	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,387	4,254	11,382	699	170	14,982	2,199	39,073
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	532	532
გასვლა	-	-	(94)	(12)	-	-	-	(106)
გადატანა	-	1,387	306	-	-	234	(1,927)	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,387	5,641	11,594	687	170	15,216	804	39,499
დაგროვილი ცვეთა								
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	749	3,571	371	139	1,798	-	6,628
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	-	127	1,155	71	31	404	-	1,788
ცვეთა გასვლისას	-	-	(35)	-	-	-	-	(35)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	876	4,691	442	170	2,202	-	8,381
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	-	124	1,193	79	-	484	-	1,880
ცვეთა გასვლისას	-	-	(94)	(11)	-	-	-	(105)
გადატანა	-	-	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,000	5,790	510	170	2,686	-	10,156
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება								
2023 წლის 31 დეკემბრის	5,387	3,378	6,691	257	-	12,780	2,199	30,692
2024 წლის 31 დეკემბრის	5,387	4,641	5,804	177	-	12,530	804	29,343

ჯგუფს თავისი ძირითადი საშუალებები დაგირავებული აქვს ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით. დაგირავებული ქონების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 29,343 ლარი (2023 წლის 31 დეკემბრის: 30,692 ლარი) იყო (მე-14 შენიშვნა).

(ათას ლარში)

6. გუდვილი

საწარმოთა გაერთიანების გზით მიღებული გუდვილის საბალანსო ღირებულებაა 3,136 ლარი (2023 წ.: 3,136 ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამავე წელს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, ჯგუფმა ჩაატარა თავისი გუდვილის, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ტესტი. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის ის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს წარმოადგენს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა, როგორც მისი გამოყენების ღირებულება, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის საფუძველზე. მნიშვნელოვან დაშვებებზე მინიჭებული ღირებულებები წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალი შესრულების მაჩვენებლების, კონკურენციის ანალიზის, და სასმელი პროდუქტების ინდუსტრიაში მაკრო-ეკონომიკური ფაქტორების და ტენდენციების შეფასებას. გაანგარიშებაში გამოყენებულია ფულადი ნაკადების პროგნოზირება დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტების საფუძველზე, რომელიც ექვსწლიან პერიოდს მოიცავს. ექვსწლიანი პერიოდის შემდეგ ფულადი ნაკადები ექსტრაპოლირებულია შეფასებული გრძელვადიანი ზრდის განაკვეთის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებები:

<u>დაშვება, 2024 წ.</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
WACC	18.5%	16.8%
გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი	4.3%	2.5%

ჯგუფის საქმიანობის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებით, რომელზეც ნეგატიურად იმოქმედა უკრაინაში მიმდინარე ომმა, გაუფასურების ტესტის მნიშვნელოვანი დაშვებები ასევე მოიცავდა შემდეგს:

- 1) რუსულ ბაზარზე გაყიდვების სრულად აღდგენა ომამდე არსებულ დონემდე 2025 წელს (რასაც აქვს უკვე არსებული გაყიდვის ხელშეკრულებების მხარდაჭერა);
- 2) გეოგრაფიული მრავალფეროვნების გაგრძელება და გაყიდვების მთლიანი წილის შემცირება რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე, განსაზღვრულ პერიოდში.

ზემოთ ხსენებულ დაშვებებზე დაყრდნობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები არ იყო გაუფასურებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დისკონტირების განაკვეთები წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას, ფულის დროითი ღირებულების და საიჯარო აქტივების ინდივიდუალური რისკების გათვალისწინებით, რომლებიც არ არის შესული ფულადი ნაკადების შეფასებებში. დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშება ეფუძნება ჯგუფში არსებულ კონკრეტულ ვითარებებს და მასში გამოყენებულია კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC). WACC ითვალისწინებს როგორც მოზიდულ, ისე საკუთარ კაპიტალს. გრძელვადიანი ზრდის განაკვეთის 3.5%-მდე შემცირების, WACC-ის 5%-ით ზრდის და საპროგნოზო გაყიდვების მოცულობების 20%-ით შემცირების კომბინაცია გამოიწვევს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან გატოლებას.

(ათას ლარში)

7. მარაგები

31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ნაშთები იყო შემდეგი:

	2024	2023
ნედლეული	5,427	5,996
დაუმთავრებელი სამუშაო	594	277
მზა პროდუქცია (საკუთარი წარმოება)	140	75
წარმოების მხარდამჭერი მასალები	10	12
სხვა მარაგები	18	–
	6,189	6,360

ჯგუფს თავისი მარაგები დაგირავებული აქვს ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით. დაგირავებული მარაგების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,189 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერს: 6,360 ლარი) იყო (მე-14 შენიშვნა).

2024 წელს ჯგუფმა აღიარა 177 ლარის ოდენობით ზარალი სხვა საოპერაციო ხარჯებში შესული მარაგების ჩამოწერიდან (2023 წ.: 195 ლარი) (მე-19 შენიშვნა).

8. სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები მესამე მხარეებისგან	555	461
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	1,986	4,135
გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(163)	(138)
	2,378	4,458

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის ცვლილების დინამიკა შემდეგია:

	2024	2023
1 იანვარს	138	177
დანარიცხი (გაუქმება) წლის განმავლობაში	25	(39)
31 დეკემბერს	163	138

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება სავაჭრო მოთხოვნები მესამე მხარეების მიმართ ჩვეულებრივ 30-90 დღეში იფარება. სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ იფარება „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგ ჯგუფის“ საქმიანი საჭიროებების შესაბამისად.

(ათას ლარში)

8. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი ასე გამოიყურება:

2024 წლის 31 დეკემბერი	ვადაგადაუ- ცილებელი და კონკრეტული დაფარვის ვადის გარეშე	<30 დღე	30–90 დღე	>180 დღე	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება	2,378	–	–	163	2,541
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	0.00%	100.00%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	(163)	(163)

2023 წლის 31 დეკემბერი	ვადაგადაუ- ცილებელი და კონკრეტული დაფარვის ვადის გარეშე	<30 დღე	30–90 დღე	>180 დღე	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,458	–	–	138	4,596
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	0.00%	100.00%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	(138)	(138)

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	210	239
	210	239

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია ქართულ ბანკებში საკრედიტო რეიტინგით „Moody's“-
 გან „Ba3/Ba2“ (LC) (2023 წ.: „Ba3/Ba2“ (LC)). 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად არის შეფასებული.

10. საკუთარი კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავტორიზებული სააქციო კაპიტალი მოიცავდა 10,000
 (2023 წ.: 10,000) გამოშვებულ აქციას, საიდანაც გამოშვებული და გადახდილი იყო 100 (2023 წ.:
 100). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0,001 ლარი. 2024 წლისა და 2023 წლის 31
 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი სააქციო კაპიტალის ნომინალური ღირებულება
 კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დამრგვალებულია ნულამდე.

(ათას ლარში)

10. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

ჯგუფის სააქციო კაპიტალის გადახდა ხდება არსებული აქციონერების მიერ ქართულ ლარში. აქციონერებს აქვთ უფლებამოსილება დივიდენდებზე ქართულ ლარში.

სხვა რეზერვები მოიცავს არარეალიზებულ ზარალს არსებულ შვილობილ საწარმოში არამაკონტროლებელი წილის შეძენიდან 7,022 ლარის (2023 წ.: 7,022 ლარი) ოდენობით.

2024 და 2023 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

11. პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები

<i>გრძელვადიანი</i>	<i>2024</i>	<i>2023</i>
ნასესხები სახსრები ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან	9,255	10,888
ნასესხები სახსრები უშუალო მშობელი საწარმოსგან	560	38,884
სულ	9,815	49,772

<i>მოკლევადიანი</i>	<i>2024</i>	<i>2023</i>
ნასესხები სახსრები ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან	3,369	3,973
ნასესხები სახსრები უშუალო მშობელი საწარმოსგან	44,176	1,182
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან ნასესხები სახსრები	2,891	2,567
სულ	50,436	7,722

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები ლარში, ევროსა და აშშ დოლარშია გამოხატული, ერიცხებათ 2%-დან 12%-მდე განაკვეთი, ხოლო მათი დაფარვის ვადები 1-დან 7 წლამდე მერყეობს.

მშობელი საწარმოსგან ნასესხები სახსრები ლარში, ევროსა და აშშ დოლარშია გამოხატული, ერიცხებათ 6%-დან 12%-მდე საპროცენტო განაკვეთი, ხოლო დარჩენილი დაფარვის ვადაა 1-დან 5 წლამდე. 2024 წელს ჯგუფმა ერთი და ხუთი წლით გაახანგრძლივა უშუალო მშობელი საწარმოსგან ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები, რომლებიც უნდა დაფარულიყო 2024 წელს და რომელთა თანხა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 613 ლარს და 569 ლარს.

(ათას ლარში)

11. პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

კონკრეტული გრძელვადიანი სესხები ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან საბალანსო ღირებულებით 9,255 ლარის ოდენობით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების კონკრეტულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ინდიკატორებთან დაკავშირებული საკრედიტო პირობების საგანს წარმოადგენენ (რაც მოიცავს EBITDA-ს დონეს, ვალი/EBITDA, ვალი/საკუთარი კაპიტალი, სესხის მომსახურების კოეფიციენტი) სესხების დაფარვის პერიოდის განმავლობაში. საკრედიტო პირობების ტესტირება ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ამ სესხების დაფარვის თარიღამდე. ფინანსური პირობების დაკმაყოფილების პროცესში დარღვევები ბანკს საშუალებას მისცემს სასწრაფო წესით გამოიხმოს სესხები და ნასესხები სახსრები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა პროცენტიან სესხებსა და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ფინანსური პირობების დარღვევას, ჯგუფმა საფინანსო დაწესებულებებისგან მიიღო უარის წერილი, რომელშიც განსაზღვრული იყო, რომ მიუხედავად ფინანსური პირობების დარღვევისა, საფინანსო დაწესებულებები არ მოითხოვენ სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადაზე ადრე დაფარვას 2025 წლის 31 დეკემბრამდე. არსებობს რისკი იმისა, რომ ამგვარი დარღვევები შესაძლოა მომავალშიც განმეორდეს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მოელის, რომ ის შესძლებს ამგვარი ნასესხები სახსრების რესტრუქტურულიზაციას ან რეფინანსირებას ან მოთხოვნის უფლების დათმობის დამატებითი წერილების მოპოვებას.

12. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	სესხები და ნასესხები სახსრები
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	56,130
მოგება-ზარალში დარიცხული ფინანსური დანახარჯი	3,678
გადახდილი პროცენტი	(1,735)
ნასესხები სახსრების დაფარვა	–
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	–
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(579)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	57,494
მოგება-ზარალში დარიცხული ფინანსური დანახარჯი	5,010
გადახდილი პროცენტი	(1,499)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(2,624)
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	–
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი	1,870
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60,251

(ათას ლარში)

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები იყო შემდეგი:

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე (22-ე შენიშვნა)	12,583	11,649
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	1,650	1,248
	14,233	12,897

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება სავაჭრო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ ჩვეულებრივ 30-დან 90 დღემდე ვადაში იფარება. სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ იფარება „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგ ჯგუფის“ საქმიანი საქმირობების შესაბამისად.

14. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

საქართველოს საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო და ფასწარმოების კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ გარიგებებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობების ინტერპრეტაციები შეიძლება ექვემდებარებოდეს დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კანონმდებლობის და ნორმატიული აქტების მისეული ინტერპრეტაცია ადეკვატურია და მას ყველა საგადასახადო რისკი ადეკვატურად აქვს გაცხადებული და აღრიცხული.

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები

31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა დააგირავა ძირითადი საშუალებები და მარაგები ქართული კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრები უზრუნველყოფის სახით, რომლებიც მოიცავდა შემდეგს.

	2024	2023
დაგირავებული ძირითადი საშუალებები (მე-5 შენიშვნა)	29,343	30,692
დაგირავებული მარაგები (მე-7 შენიშვნა)	6,189	6,360
	35,532	37,052

15. ამონაგები და შემოსულობა

	2024	2023
საკუთარი პროდუქციის მზა პროდუქტების გაყიდვა (ა)	10,330	13,756
სამართლიანი ღირებულების მოძრაობა ბიოპროდუქტში (ბ)	(1,417)	(1,065)
დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურება (გ)	3,785	3,046
	12,698	15,737

(ათას ლარში)

15. ამონაგები და შემოსულობა (გაგრძელება)

- (ა) ამონაგები მზა პროდუქციის გაყიდვიდან მოიცავს ამონაგებს ღვინის პროდუქტებიდან, როგორც არის: ღვინო, შუმხუნა ღვინო, ჭაჭა და ბრენდი.

ვინაიდან ომი უკრაინაში ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს ჯგუფის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჯგუფის მიერ დსთ-ის ქვეყნებზე გაყიდვებმა 3,267 ლარი (2023 წ.: 3,630 ლარი) შეადგინა. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

- (ბ) შემოსულობა საკუთარ ვენახებში მოწეული ყურძნიდან ასე გამოიყურება:

	2024	2023
მარაგების ნაწილში გადატანილი ყურძნის აღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	2,263	2,640
ნათესების გაზრდის ხარჯები	(3,680)	(3,705)
სამართლიანი ღირებულების მოძრაობა ბიოპროდუქტში	(1,417)	(1,065)

აღებული ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების მომენტში გასაყიდი ღირებულებით შემცირებულ სავარაუდო საბაზრო ფასზე დაყრდნობით. 2024 და 2023 წლის მოსავალთან დაკავშირებით გამოყენებული ერთი ტონის ყურძნის სავარაუდო საშუალო შეწონილი საბაზრო ფასია 1,40 ლარი და 1,47 ლარი.

2024 წელს კახეთის რეგიონში ვენახების უმრავლესობა სეტყვამ დააზიანა. დაზიანებულ ყურძენს უფრო დაბალი ფასი აქვს და შესაბამისად ადგილობრივი და სახელმწიფო ღვინის ქარხნები დაზიანებულ ყურძენს უფრო დაბალ ფასად ყიდულობდნენ, 2023 წელთან შედარებით. ღვინის ეროვნულმა სააგენტომ საშუალო ფასი დაიანგარიშა ღვინის ყველა ქარხნის შესყიდვის ფასის საფუძველზე.

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასების შედეგი წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ გადაიტანება მარაგების ნაწილში.

- (ა) დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურება მოიცავს ვენახის გაშენების მომსახურებას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის.

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)	2,378	4,458
სახელშეკრულებო ვალდებულებები	332	2

(ათას ლარში)

15. ამონაგები და შემოსულობა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხებათ და მათი ვადა, როგორც წესი, 30-90 დღეა. სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ იფარება „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგ ჯგუფის“ საქმიანი საჭიროებების შესაბამისად (8-ე შენიშვნა). სავაჭრო მოთხოვნების შემცირება მეტწილად უკავშირდება მოთხოვნებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ.

სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებულ საზღაურებს, წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას საქონელი გადასცეს ამ მომხმარებლებს. სახელშეკრულებო ვალდებულებებისთვის ჯგუფი მოელის ყველა თანხის მოგებაში ან ზარალში გაშვებას შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილებიდან ერთი წლის ვადაში. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა 2 ლარი აღიარა ამონაგებში, რომელიც უკავშირდება გადასატან სახელშეკრულებო ვალდებულებებს და შესულია 2023 წლის სახელშეკრულებო ვალდებულებებში (2023 წ.: 300 ლარი). 2024 წლის განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა მეტწილად უკავშირდება ერთ მომხმარებელთან გადახდის პირობების ცვლილებას.

16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული საკუთარი წარმოების მზა პროდუქტების თვითღირებულება (ა)	8,004	10,371
დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურების თვითღირებულება (ბ)	3,441	2,769
	11,445	13,140

(ა) გაყიდული საკუთარი წარმოების მზა პროდუქტების თვითღირებულება

	2024	2023
ნედლეული	4,858	7,173
ცვეთა	1,640	1,543
დასაქმებულთა გასამრჯელოები	901	936
კომუნალური ხარჯები	431	488
ქონების გადასახადი	121	126
სხვა საწარმოო დანახარჯები	53	105
	8,004	10,371

(ბ) დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოები	2,616	2,067
ნედლეული	825	702
	3,441	2,769

(ათას ლარში)

17. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები

	2024	2023
ტრანსპორტირების ხარჯი	71	75
გაყიდვების წახალისების და რეკლამის ხარჯი	55	94
დასაქმებულთა გასამრჯელოები	28	25
სხვა	61	54
	215	248

18. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოები	471	525
ცვეთა	240	235
ტექნომსახურება და რემონტი	154	99
საწვავის ხარჯები	92	66
პროფესიული მომსახურება	85	90
იჯარა და კომუნალური მომსახურებები	22	19
დაზღვევა	16	4
საკომუნიკაციო ხარჯები	7	7
ბანკის საკომისიო გადახდები	5	6
სამივლინებო ხარჯი	1	29
სხვა	207	208
	1,300	1,288

19. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ღვინის მასალების შენახვა	246	280
მარაგების ჩამოწერა (მე-7 შენიშვნა)	177	195
სხვა	82	455
	505	930

20. სეტყვით მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი

2024 წელს ჯგუფი დაზარალდა სეტყვით, რამაც გამოიწვია ყურძნის სამართლიანი ღირებულების ჩამოფასება 294 ლარის (2023 წ.: 734 ლარი) ოდენობით.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტიან სესხებს და ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის ოპერაციებისთვის და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფი თავისი ოპერაციებიდან პირდაპირ იღებს სავაჭრო მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და სავალუტო რისკები.

ჯგუფის დაქვემდებარება ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკზე უპირატესად უკავშირდება ჯგუფის გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს მცოცავი საპროცენტო განაკვეთებით. ბანკში ნაღდი ფულის ნაშთი ფიქსირებულ განაკვეთთანაა.

ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა რაიმე საქმიანობას წარმოებული ინსტრუმენტებით რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფის საკრედიტო რისკის მოცულობა წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე ფლობილი ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ანაბრების საერთო ნაშთით 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბერს მთლიანმა საკრედიტო რისკის ზომამ 2,588 ლარი (2023 წ.: 4,697 ლარი) შეადგინა.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებლის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საკრედიტო ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება გაცალკევებული საკრედიტო ლიმიტები. ჯგუფი ამ მოთხოვნებს აკონტროლებს და მნიშვნელოვანი კლიენტებისთვის ინდივიდუალურ საფუძველზე ატარებს გაუფასურების ანალიზს. გაყიდვების უმრავლესობა დაკავშირებულ მხარეებს უკავშირდება. გადახდა ხდება დაკავშირებული მხარის მიერ ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების შესაბამისად და, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა ვადაგადაცილებულიც იყოს, თუ სრულად ამოღებადი არ იქნება.

ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიანი ანაბრები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს ცნობილ ბანკებში განთავსებით, რომლებსაც „Moody's“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ „Ba3/Ba2“ რეიტინგი. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომელშიც ანაბრებია განთავსებული, მნიშვნელოვანი მომხმარებლების სტატუსთან ერთად, ხოლო შესაბამისი მოთხოვნების მონიტორინგი ყოველდღიურად ხდება.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე უპირატესად უკავშირდება ჯგუფის სესხებს და ნასესხებ სახსრებს უცხოურ ვალუტაში.

ჯგუფი ხელშეკრულებებს აფორმებს აშშ დოლარში, ევროსა და ლარში. ჯგუფი არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ინსტრუმენტებს, რომ განახორციელოს მომავალი გარიგებებისა და ფულადი ნაკადების ჰეჯირება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე (ლარში გამოხატული):

2024	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	52	559
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	9
ვალდებულებები		
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	(46,306)	(3,234)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,616)	(74)
წმინდა პოზიცია	(47,855)	(2,740)
2023	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	266	230
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56	1
ვალდებულებები		
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	(43,449)	(3,552)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,396)	(78)
წმინდა პოზიცია	(44,523)	(3,399)

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ ნეტო შემცირებას კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში, ხოლო დადებითი რიცხვები - პოტენციურ ნეტო ზრდას.

2024	ცვლილება სავალუტო კურსში %	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარი	-2% / 8.05%	957 / (3,852)
ევრო	-2% / 8.42%	55 / (231)

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2023	ცვლილება სავალუტო კურსში %	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარი	-19% / 19%	8,459 / (8,459)
ევრო	-27% / 27%	918 / (918)

ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან და საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს საკრედიტო დაწესებულებებსა და სხვა სესხის გამცემებთან გადახდის პირობების რესტრუქტურირაციას და იღებს მხარდაჭერას მშობელი საწარმოებისგან. ჯგუფი არ მოელის, რომ ის ვალდებული გახდება დაფაროს მშობელი საწარმოო და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრების ფარგლებში მისი ვალდებულებები განჭვრეტად მომავალში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის პროფილები, სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე:

2024	<3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი	სულ
პროცენტიანი სესხები და ნასესხები					
სახსრები	1,186	50,770	11,277	3,080	66,313
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,233	–	–	–	14,233
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	666	–	–	–	666
	16,085	50,770	11,277	3,080	81,212
2023	<3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი	სულ
პროცენტიანი სესხები და ნასესხები					
სახსრები	1,662	6,493	54,715	5,241	68,111
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,897	–	–	–	12,897
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	727	–	–	–	727
	15,286	6,493	54,715	5,241	81,735

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში იმოქმედებს ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულად ნაკადებზე ან სამართლიან ღირებულებაზე. ჯგუფის დაქვემდებარება ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკზე უპირატესად უკავშირდება ჯგუფის გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს მცოცავი საპროცენტო განაკვეთებით. ბანკში ნაღდი ფულის ნაშთი ფიქსირებულ განაკვეთითაა.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საპროცენტო განაკვეთებში გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილების მგრძნობელობა გავლენის ქვეშ მყოფი სესხების და ნასესხები სახსრების წილზე. ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის პირობებში, ჯგუფის დაბეგვრამდე მოგებაზე მოქმედებს მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ნასესხები სახსრები, შემდეგი სახით:

2024	საბაზისო პუნქტის ზრდა/(ცლება)	დაბეგვრამდე მოგების ეფექტი
ევრო	-127 / 354	24 / (67)
აშშ დოლარი	-9 / 441	9 / (455)
ლარი	-80 / 80	3 / (3)

2023	საბაზისო პუნქტის ზრდა/(ცლება)	დაბეგვრამდე მოგების ეფექტი
ევრო	-316 / 316	70 / (70)
აშშ დოლარი	-382 / 382	438 / (438)
ლარი	-100 / 100	5 / (5)

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიზნით, კაპიტალი მოიცავს სააქციო კაპიტალს, საემისიო შემოსავალს და საკუთარი კაპიტალის ყველა სხვა რეზერვს, რომელიც მშობელი საწარმოს აქციონერებს უკავშირდება და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (33,803) ლარით (2023 წ.: (25,827) ლარი) ფასდება. ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური სტრატეგია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

(ათას ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა. საოპერაციო გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავდა ოპერაციებს საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებთან, შესაბამისად:

უშუალო მშობელი საწარმო	შესყიდვები	გაყიდვები	სადაზღვევო ვალდებულებებ მოთხოვნები		
			ხარჯი	ი	(ა)
2024	–	–	–	1,020	–
2023	53	–	–	977	–
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო					
დაქვემდებარებული საწარმო	შესყიდვები	გაყიდვები	სადაზღვევო ვალდებულებებ მოთხოვნები		
			ხარჯი	ი	(ა)
2024	2,011	9,782	288	11,563	1,565
2023	2,273	11,404	213	10,672	4,135
სხვა დაკავშირებული მხარეები					
მხარეები	შესყიდვები	გაყიდვები	სადაზღვევო ვალდებულებებ მოთხოვნები		
			ხარჯი	ი	(ა)
2024	–	108	–	–	421
2023	–	–	–	–	–

- (ა) დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნებისთვის აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნულ ლარს შეადგენდა (2023 წ.: ნული ლარი).

(ათას ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საინვესტიციო და საფინანსო ოპერაციები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	ფინანსური დანახარჯი	სესხები და ნასესხები სახსრები
2024		
მშობელი საწარმო	3,228	44,736
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	324	2,891
2023		
მშობელი საწარმო	2,946	40,066
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	362	2,567

2024 და 2023 წლებში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ ხარჯად აღიარებული თანხები წარმოდგენილი იყო დასაქმებულთა შემდეგი გასამრჯელოებით:

	2024	2023
ხელმძღვანელობის პრემიები	–	230
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის სახელფასო ხარჯები.	8	8
	8	238

23. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ჯგუფმა დაფარა თავისი ნასესხები სახსრები ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან 3,280 ლარის ოდენობით და მიიღო იგივე ოდენობით ნასესხები სახსრები მშობელი საწარმოსგან, რომლებიც აშშ დოლარშია გამოხატული და მათი დაფარვის წელია 2029 წელი.

2025 წელს ჯგუფმა ერთი წლით გაახანგრძლივა უშუალო მშობელი საწარმოსგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან ნასესხები სახსრების დაფარვის ვადა, რომელთა თანხა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 43,547 ლარს და 2,891 ლარს და უნდა დაფარულიყო 2025 წელს.

სს „ჰარვესტ ჯორჯია“ და შვილობილი საწარმო

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ჯგუფის შესახებ

სს „ჰარვესტ ჯორჯია“ (შემდგომში - „ჯგუფი“, საიდენტიფიკაციო ნომრით 405258313) დაფუძნებულია 2018 წლის 13 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფი საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე და ყიდის თავის პროდუქციას როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დისტრიბუირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება და საბითუმო ვაჭრობა, ღვინის წარმოება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელი იყო ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებული ჯგუფი („საქართველოს კაპიტალი“), რომელიც ახორციელებს საინვესტიციო ბიზნეს საქმიანობას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არცერთი აქციონერი არ ფლობს საქართველოს კაპიტალის აქციების 8%-ზე მეტს. საქართველოს კაპიტალის ოფიციალური იურიდიული მისამართია: ინგლისი, W1K 5EH, ლონდონი, ბრუკ სთრითი #84, ხოლო რეგისტრაციის ნომერი არის 10852406.

ჯგუფის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ყაზბეგის ქუჩა, N3-5.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

2024 წლის განმავლობაში ჯგუფის საერთო შემოსავალმა შეადგინა 12,698 ათასი ლარი. შემოსავლის ძირითადი ნაწილი მიღებულია ღვინის ექსპორტიდან, ხოლო ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე დაკავშირებულ მხარეებთან ყურძნის რეალიზაციით.

ცხრილი #1 ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	12,698	15,737
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(11,445)	(13,140)
საერთო მოგება	1,253	2,597
საოპერაციო ხარჯები და გაუფასურება	(9,229)	(6,176)
წლიური (ზარალი) მოგება	(7,976)	(3,579)
საერთო მოგების მარჟა	9.87%	16.50%

ჯგუფის დეტალური ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფას-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის განვითარების გეგმები:

ჯგუფისთვის საშუალო ვადიან პერიოდში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისახება გასაღების ბაზრების დივერსიფიცირება, რათა დამოკიდებულება ცალკეულ ქვეყანასა თუ რეგიონზე მაქსიმალურად იყოს შემცირებული. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, გასული წლის მანძილზე ყველაზე მზარდი ბაზრების ანალიზი ქართული ღვინისათვის, რომელთა შორისაც ლიდერობს ჩინეთი. ცხადია, ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება, ერთი ორად ამარტივებს ხსენებულ ბაზარზე შეღწევას და თავის დამკვიდრებას. ასევე, ქართული ღვინისთვის მიმზიდველია პოსტ-საბჭოთა სივრცის რეგიონი, სადაც ქართული პროდუქტი მეტ-ნაკლებად პოპულარობით სარგებლობს.

3. ღვინის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი

მიმოხილვა

საქართველოს მეღვინეობის 8,000 წლიანი ისტორია აქვს. ღვინის წარმოებისთვის ხელსაყრელი კლიმატისა და თავისი განედის (42° N პარალელი) წყალობით, საქართველო არ ჩამოუვარდება მეღვინეობით განთქმულ ზოგიერთ ქვეყანას - აშშ (კალიფორნია/ორეგონი), იტალია (ტოსკანა) და ესპანეთი (ლა-რიოხა).

საქართველოში მევენახეობის ძირითადი 8 კერა არსებობს: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა, გურია და სამეგრელო. 500 უნიკალური და ენდემური ვაზის ჯიშებიდან 30 მათგანი მთელს საქართველოშია გავრცელებული.

კახეთი ცნობილია საფერავით, რქაწითელითა და მწვანე ყურძნის ჯიშებით; ქართლი - გორული მწვანით; იმერეთი - ციცქასა და კრახუნათი; გურია და აფხაზეთი - ცოლიკოურითა და ჩხავერით; სამეგრელო - ოჯალეშით, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი უსახელოურით, ალექსანდროულით, მუჯურეთულით.

ქართული ღვინის ექსპორტი

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2024 წელს საქართველოდან მსოფლიოს 72 ქვეყანაში 126 მილიონ ბოთლამდე (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, 2023 წლის მონაცემზე 6%-ით მეტი.

ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 276 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2023 წლის ანალოგიურ მონაცემზე 6.5%-ით მეტია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: რუსეთი - 7%, პოლონეთი - 12%, შემცირება კი აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა - 13%; ჩინეთი - 17%; ესტონეთი - 16% და ა.შ.

საექსპორტო ფასწარმოქმნა

ქართული ღვინო შედარებით იაფია დსთ-ის/პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რადგან აქ ტრანსპორტირების ხარჯი უფრო დაბალია და უპირატესობას მშრალ ან ნახევრად ტკბილ სუფრის ღვინებს ანიჭებენ. მომხმარებლებს შორის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის დონე მერყეობს, მაგრამ, ზოგადად, ქართული ღვინო დსთ-ის ბაზრებზე მასობრივი მოხმარების პროდუქტია, ხოლო ევროკავშირში, ჩრდილო ამერიკასა და აზიაში - პრემიუმ კლასის პროდუქტი, სადაც ძირითადად დაცული ადგილწარმოშობის დასახელების საფერავი და მშრალი თეთრი ღვინოები იყიდება. ევროკავშირის ქვეყნებში ქართულ ღვინოს, ახალზელანდიური და არგენტინული ღვინის მსგავსად, მაღალი ფასი აქვს.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

4.1 საქართველოს მაკროეკონომიკური პირობების მიმოხილვა და პოლიტიკური რისკების ანალიზი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ისევე როგორც 2017-2022 წელს, ჯგუფის მთლიანი ამონაგების ძირითადი წილი საქართველოში კონცენტრირებულ ოპერაციებზე მოდის (2016 წელს ჯგუფს ამონაგები არ ჰქონია). აქედან გამომდინარე, ჯგუფის ფინანსური ზრდა და შემდგომი განვითარება პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებთან, ცხრილში მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით.

31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული
წლისთვის

	2024
მშპ-ის ზრდა (%)	9.4
ნომინალური მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	33.8
ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	9,141.4
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მილიონი აშშ დოლარი)	614.8
ინფლაცია (პერიოდის ბოლო, %)	1.9
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8
სახელმწიფო ვალი, როგორც მშპ-ის %	74.5
სულ უცხოელთა შემოსვლები (ტურისტები, ტრანზიტული მგზავრები და სხვა)	7,368,149

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<https://www.geostat.ge/ka>

<https://nbg.gov.ge>

საქსტატის მიხედვით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 9.5%-ით გაიზარდა და 91.9 მილიარდი ლარი (33.8 მილიარდი დოლარი) შეადგინა. იგივე მონაცემები 2023 წელს 7%, 2022 წელს 10.1%, 2021 წელს 10.4%, 2020 წელს -6.2%, 2019 წელს 5.2%-ით, 2018 წელს 4.8%-ით, 2017 წელს 4.8%-ით, ხოლო 2016 წელს 2.9%-ით განისაზღვრა.

4.2 ვალუტის ცვალებადობა

ქვეყანაში არასტაბილური სავალუტო ბაზრის არსებობიდან და ამასთანავე ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჯგუფზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა და გაუფასურება ევროსა თუ დოლარის მიმართ. დოლარიზაციის დონე მაღალი რჩებოდა საბანკო სისტემაში, ანაბრების შემთხვევაში გაიზარდა 50.7%-დან 52.8%-მდე, ხოლო სესხების შემთხვევაში შემცირდა 45.2%-დან 43.3%-მდე. საშუალო საპროცენტო განაკვეთები 12.06%-ს შეადგენდა სესხების, ხოლო 6.46%-ს ანაბრების შემთხვევაში.

ამასთან ერთად, ჯგუფს აქვს სასესხო ვალდებულება ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომელიც ძირითადად გამოხატულია ევროში.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება არასტაბილური კურსის არსებობაში, მაღალია რისკი, რომ ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის ჯგუფის საპროცენტო და სხვა ხარჯებს.

4.3 რეგიონში მიმდინარე პროცესები

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია არა მხოლოდ მიკროეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის

ეკონომიკაზე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნული ქვეყნებიდან, ჯგუფი ექსპორტს ახორციელებს რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

2022-2024 წლის მონაცემებით ყირგიზეთი საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორია, რომელზეც მთლიანი ექსპორტის 19.6% მოდის, 2023 წლის მონაცემებით აზერბაიჯანი წარმოადგენდა საქართველოს მთავარ საექსპორტო პარტნიორს 14.2%-ლი მაჩვენებლით. ექსპორტის განაწილებაში 2024 წელს მეორე ადგილს ყაზახეთი იკავებს, სადაც ექსპორტირებული საქონელი და მომსახურების ღირებულება 860 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა პერიოდის მაჩვენებელს 22%-ით აჭარბებს. რიგით მესამე სავაჭრო პარტნიორი აზერბაიჯანია.

2024 წელს ტურიზმის სექტორში ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 4%-ით გაიზარდა. 2022 წელს რუსეთი-უკრაინის ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ სანქციები გამოუცხადა რუსეთს. ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად დაეცა რუსული რუბლი და საფინანსო ბაზრებზე რუსული კომპანიების საბაზრო ფასები. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, დაიწყო მძიმე პუმანიტარული კრიზისი როგორც რუსეთში ასევე უკრაინაში.

რუსეთი და უკრაინა წარმოადგენენ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს საქართველოსთვის, შესაბამისად მოსალოდნელია რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ჯგუფის მენეჯმენტი თვალს ადევნებს მიმდინარე მოვლენებს და მიიღებს შესაბამის ზომებს საჭიროების შემთხვევაში.

4.4 საკანონმდებლო ფაქტორები

საქართველოს დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნად ჩამოყალიბების პარალელურად, ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევა დგას ევროპული სტანდარტების შემოღების, შრომის კოდექსისა და დასაქმებულის უფლებების დაცვის კუთხით. ასევე, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და საგადასახადო სისტემების ეფექტური მუშაობის მხრივ. საქართველოს შრომის კოდექსში მიღებული ცვლილებები მიზნად ისახავდა, როგორც სამართლიანი ბალანსის დაცვას დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესებს შორის, ასევე ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას. ცვლილებები შეეხება სამუშაო საათების განსაზღვრას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებისა და შეწყვეტის დეტალებს, სამართლიანი და არადისკრიმინაციული სამუშაო გარემოს შექმნას და სხვა.

შრომის კოდექსში შესულ ცვლილებებთან შესაბამისობის მიზნით ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა, როგორც შრომით, ასევე მომსახურების ხელშეკრულებებში. შეიცვალა შრომითი ხელშეკრულებების გარკვეული პუნქტები, კანონმდებლობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებების შესაბამისად.

ასევე, ვაჭრობასთან დაკავშირებული და სექტორისთვის განკუთვნილი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება გარკვეულ სირთულეებს ქმნის, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის (პროდუქტის და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) და მომხმარებელთა უსაფრთხოების მხრივ.

ამასთანავე, 2014 წელს ევროკავშირთან ხოლო 2018 წელს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრებს შორის ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რაც გულისხმობს ევროპაში საბაჟო გადასახადის გარეშე პროდუქციის შეტანას. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემოღება გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვას, განსაკუთრებით შრომის უსაფრთხოების, დასაქმებულთა უფლებებისა და გარემოს დაცვის კუთხით. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებს ამ სფეროში დიდი გავლენა ექნება ბიზნესზე, კერძოდ, შრომით ხელშეკრულებებზე დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.

საგადასახადო კანონები ეტაპობრივად ვითარდება და გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან მისი გაგება და ინტერპრეტაცია შესაძლოა განსხვავებულად მოხდეს სხვადასხვა კომპანიის მხრიდან, რაც ჯგუფს უქმნის რისკს, რომ საგადასახადო ორგანო ეჭვქვეშ დააყენებს მათ მიერ კანონის შესრულებას. ეს კი დამატებითი ჯარიმებისა და გადასახადების დაკისრებასთან არის დაკავშირებული.

5. ჯგუფთან დაკავშირებული რისკები

5.1 ფასების ცვალებადობა

ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და დისტრიბუციის ბაზარი ხასიათდება ხშირი ფასების ცვალებადობით. ამასთანავე, ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე. სავალუტო ბაზრის არასტაბილურობისა და კურსის რყევების გამო, საწარმოს მასალებსა და მომსახურების ფასებზე ცვლილება გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ფასზე, შესაბამისად, მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობაზე. საბოლოო შედეგი აისახება ჯგუფის გაყიდვებსა და შესაბამისად, ფინანსურ მდგომარეობაზე.

5.2 მომხმარებელთა ინტერესების ცვლილება

ბაზარზე მოთხოვნა და მომხმარებელთა ინტერესები მუდმივად იცვლება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული პროდუქტის მიმართ მოთხოვნის შემცირება. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი იძულებული ხდება საკუთარი პროდუქცია მოარგოს მომხმარებელთა მოთხოვნებს. ჯგუფმა მუდმივად უნდა გაითვალისწინოს ბაზრის ცვლილება, სოციალური ტენდენციები და კონკურენციის მაღალი დონე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია უარყოფითი გავლენები გაყიდვებსა და საოპერაციო შედეგებზე.

6. ფინანსური მონაცემების შიდა კონტროლის მექანიზმები

ფინანსური მონაცემების მიმოცვლა ჯგუფში ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯვარედინი კონტროლის მექანიზმი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მიწოდებული ფინანსური მონაცემების სიზუსტეს.

ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს შორის ხდება რიგი საფეხურების დადასტურების შემდეგ, რათა ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებული იყოს, რომ ინფორმაციის მიმღებს მიეწოდება უტყუარი ინფორმაცია. ამასთან ის ფაქტიც, რომ მიმღებს აქვს უფლება გაეცნოს შესაბამის ინფორმაციას.

ჯგუფს შემუშავებული აქვს შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნებისმიერი სახის მონაცემების გაცვლა სტრუქტურულ ერთეულებს შორის და მათზე კონტროლის განხორციელება.

ასევე, ჯგუფს შემუშავებული აქვს ფინანსური თვის და წლის დახურვის პროცედურები შესაბამისი კონტროლის მექანიზმებით, რაც საფუძველია იმისთვის, რომ რაც პროგრამულად აღიარებული ინფორმაცია სრულფასოვანი და უტყუარია.

7. დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები და კადრების შენარჩუნება

ჯგუფი სულ უფრო მეტი წარმატებით ახერხებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე საუკეთესო პროფესიონალების მოძიებასა და მოზიდვას. ჯგუფი ცდილობს, გააუმჯობესოს ეფექტურობა ორგანიზაციის როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპეტენციის განვითარება გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა. კერძოდ, ჯგუფის მიზანია, გააუმჯობესდეს ორგანიზაციის მიერ სიახლეების დანერგვის უნარი და დაიხვეწოს არსებული პრაქტიკა.

მეორე მხრივ, ჯგუფისთვის უადრესად მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის უსაფრთხოება. უპირველეს ყოვლისა, თითოეულ თანამშრომელს აქვს უფლება, იმუშაოს უსაფრთხოდ და ჯანსაღ გარემოში, რათა არც მათ და/ან არც მათ ოჯახებს არ შეექმნათ პრობლემები სამუშაო ადგილზე არსებული ისეთი საფრთხეების გამო, რომელთა თავიდან არიდება შესაძლებელი იყო. შესაბამისად, ჯგუფი ქმნის უსაფრთხო სამუშაო გარემოს თანამშრომლებისათვის არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ეს თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციური ყოველ სამუშაო დღეს.

8. გარემოსდაცვითი საკითხები

ჯგუფი გარემოსდაცვითი საქმიანობის წლიდან წლამდე გაუმჯობესების მიზნით შემდეგ ძირითად ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას:

- ✓ ორგანიზაციის მასშტაბით დანერგილი კორპორაციული კულტურა,
- ✓ საქმიანობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტანდარტები და საოპერაციო პროცედურები,
- ✓ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს, კომპეტენტური თანამშრომლები.

გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება კლიენტების, მომწოდებლების, მარეგულირებელ ორგანოების, ინვესტორების, თანამშრომლებისა და საზოგადოების თვალში რეპუტაციის ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

9. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი ჯგუფისთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ. როგორც ღვინის და ლუდის წარმოების წამყვანმა ჯგუფმა, ჩვენ მიზნად დავისახეთ უბედური შემთხვევების სრულად აღმოფხვრა და ამის მისაღწევად ჩვენს ჯგუფში დავწერეთ პრინციპი „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენს სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური და ფატალური შემთხვევები საწარმოო ობიექტების გარეთ ხდება, როცა ადამიანები მოგზაურობენ ან ჩვენი პროდუქციის დისტრიბუციით არიან დაკავებული. გარემოში, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან დაზღვეული არ ვართ. ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი ჯგუფის მასშტაბით და განსაკუთრებული ყურადღება საგზაო უსაფრთხოებაზე გავამახვილოთ.

პასუხისმგებლიანი მოხმარება

ღვინო ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც ყოველდღიურად ათასობით ადამიანს ანიჭებს სიამოვნებას. მათი უმრავლესობა ალკოჰოლს ზომიერად იღებს და იცავს ცხოვრების ჯანსაღ წესს. თუმცა, ზედმეტი ალკოჰოლის მიღებას აშკარად უკავშირდება ჯანმრთელობის და ქცევითი რისკები და ისინი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირზე არ მოქმედებს. ალკოჰოლის საზიანო დოზით მიღება სხვა ადამიანებს, საზოგადოებას, ჩვენს დარგსა და მის რეპუტაციას ვნებს.

იმისათვის, რომ საზოგადოება ალკოჰოლის მიღებას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს, ჩვენ აქტიურად ვავრცელებთ გზავნილს „დაღიე პასუხისმგებლობით“.

ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, ალკოჰოლის მიღებას პასუხისმგებლობით მოეკიდონ და მოხმარებლებს განვუმარტავთ ალკოჰოლის მავნე დოზით მიღების რისკებს.

სპონსორობა

სპონსორობის ფარგლებში, ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებასა და დამკვიდრებაზე. როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპონსორები, მიზნად ვისახავთ, სპორტის პოპულარიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლას და ჯანსაღ აქტივობებში ბავშვების და მოზარდების ჩართვას. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, განვიხილოთ ახალი ინიციატივები, რომლებიც დაგეგმვარება ჩვენი მიზნებისა და ხედვის განხორციელებაში.

უფლებამოსილი წარმომადგენელი
თეიმურაზ ჯანყარაშვილი
2025 წლის 24 ივნისი

უფლებამოსილი წარმომადგენელი
ლუკა ფირცხალავა
2025 წლის 24 ივნისი

